



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F T E R J O L A



განკარგულება:გ-29. 29233058

თარიღი:01/11/2023

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I-II-III კვარტლის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 19 ოქტომბრის N 28-282329260 წერილის შესაბამისად, საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I-II- III კვარტლის შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში დანართის სახით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ინფორმაცია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2022 წლის 20 დეკემბრის N27 დადგენილებით 16500.0 ათასი ლარის ოდენობით.

2023 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 3713.9 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 880.4 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 2833.5 ათას ლარს.

2023 წლის სამ კვარტალში ბიუჯეტის ცვლილება 14-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 5-ჯერ და საკრებულოს მიერ 9-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 30323.9 ათასი ლარით.

2023 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 23033.4 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 21885.5 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის 1 ოქტომბრისათვის ნაშთი დარჩა 1147.9 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 507.3 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავლები 640.6 ათასი ლარი.

თავი I. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიურმა შემოსავლებმა 23033.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც სამი კვარტლის გეგმის (22823.3 ათასი ლარი) 100,9 %-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიურ შემოსავლებში (23033.4 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 11684.0 ათას ლარს, ანუ 50,7 %-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი 1173.7 ათას ლარს, ანუ 5,0 %-ს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 6205.6 ათას ლარს, ანუ 26,9%-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 256.2 ათას ლარს.

ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2023 წლის სამი კვარტლის ფაქტიურ შემოსულობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 11684.0 ათასი ლარი (50,7%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 9470.3 ათასი ლარი. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 1297.4 ათასი ლარი. სახელმწიფო ფონდებიდან ტრანსფერების სახით შემოსავლები ბიუჯეტში ჩარიცხულია 3129.5 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის გადასახდელების გეგმა შეადგინდა 22823.3 ათას ლარს, ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სადასახადო



1. ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური			2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა			2023 წლის იანვარ-სექტემბერი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	26 310,0	17 954,0	8 356,0	18 907,9	13 847,3	5 060,6	19 063,3	14 002,7	5 060,6
გადასახადები	14 942,0	14 942,0	-	11 558,0	11 558,0	-	11 684,0	11 684,0	-
გრანტები	9 751,0	1 395,0	8 356,0	6 205,6	1 145,0	5 060,6	6 205,6	1 145,0	5 060,6
სხვა შემოსავლები	1 617,0	1 617,0	-	1 144,3	1 144,3	-	1 173,7	1 173,7	-
II. ხარჯები	19 659,5	16 744,6	2 914,9	15 777,1	13 725,3	2 051,8	15 036,1	13 045,9	1 990,2
შრომის ანაზღაურება	3 188,7	3 008,7	180,0	2 556,2	2 411,2	145,0	2 420,9	2 280,4	140,5
საკონელი და მომსახურება	3 427,7	1 897,0	1 530,7	2 470,8	1 343,8	1 127,0	2 344,1	1 265,4	1 078,7
პროცენტი	32,0	32,0	-	12,0	12,0	-	11,8	11,8	-
სუბსიდიები	9 815,6	9 655,6	160,0	8 047,0	7 922,0	125,0	7 657,7	7 541,4	116,3
გრანტები	30,0	30,0	-	24,1	24,1	-	21,1	21,1	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 010,0	990,0	20,0	976,7	965,1	11,6	937,1	925,6	11,5
სხვა ხარჯები	2 155,5	1 131,3	1 024,2	1 690,3	1 047,1	643,2	1 643,4	1 000,2	643,2
III. საოპერაციო სალდო	6 650,5	1 209,4	5 441,1	3 130,8	122,0	3 008,8	4 027,2	956,8	3 070,4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	10 306,4	2 031,8	8 274,6	6 814,7	1 420,4	5 394,3	6 564,2	1 300,9	5 263,3
ზრდა	10 606,4	2 331,8	8 274,6	7 016,2	1 621,9	5 394,3	6 820,4	1 557,1	5 263,3
კლება	300,0	300,0	-	201,5	201,5	-	256,2	256,2	-
V. მთლიანი სალდო	- 3 655,9	- 822,4	- 2 833,5	- 3 683,9	- 1 298,4	- 2 385,5	- 2 537,0	- 344,1	- 2 192,9
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 3 713,9	- 880,4	- 2 833,5	- 3 713,9	- 1 328,4	- 2 385,5	- 2 566,0	- 373,1	- 2 192,9
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	3 713,9	880,4	2 833,5	3 713,9	1 328,4	2 385,5	2 566,0	373,1	2 192,9
ვალუტა და დეპოზიტები	3 713,9	880,4	2 833,5	3 713,9	1 328,4	2 385,5	2 566,0	373,1	2 192,9
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-	-	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 58,0	- 58,0	-	30,0	30,0	-	29,0	29,0	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-
საგარეო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	58,0	58,0	-	30,0	30,0	-	29,0	29,0	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-	-	-
საგარეო	58,0	58,0	-	30,0	30,0	-	29,0	29,0	-
სესხები	58,0	58,0	-	30,0	30,0	-	29,0	29,0	-
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-



2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური			2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა			2023 წლის იანვარ-სექტემბერი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	26 610,0	18 254,0	8 356,0	19 109,4	14 048,8	5 060,6	19 319,5	14 258,9	5 060,6	101,1	101,5	100,0
შემოსავლები	26 310,0	17 954,0	8 356,0	18 907,9	13 847,3	5 060,6	19 063,3	14 002,7	5 060,6	100,8	101,1	100,0
არაფინანსური აქტივების კლება	300,0	300,0	-	201,5	201,5	-	256,2	256,2	-	127,1	127,1	0,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	30 323,9	19 134,4	11 189,5	22 823,3	15 377,2	7 446,1	21 885,5	14 632,0	7 253,5	95,9	95,2	97,4
ხარჯები	19 659,5	16 744,6	2 914,9	15 777,1	13 725,3	2 051,8	15 036,1	13 045,9	1 990,2	95,3	95,1	97,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 606,4	2 331,8	8 274,6	7 016,2	1 621,9	5 394,3	6 820,4	1 557,1	5 263,3	97,2	96,0	97,6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	58,0	58,0	-	30,0	30,0	-	29,0	29,0	-	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	- 3 713,9	- 880,4	- 2 833,5	- 3 713,9	- 1 328,4	- 2 385,5	- 2 566,0	- 373,1	- 2 192,9	0,0	0,0	0,0

3. ბიუჯეტის შემოსავლები

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური			2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა			2023 წლის იანვარ-სექტემბერი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	26 310,0	17 954,0	8 356,0	18 907,9	13 847,3	5 060,6	19 063,3	14 002,7	5 060,6	100,8	101,1	100,0
გადასახდელები	14 942,0	14 942,0	-	11 558,0	11 558,0	-	11 684,0	11 684,0	-	101,1	101,1	0,0
გრანტები	9 751,0	1 395,0	8 356,0	6 205,6	1 145,0	5 060,6	6 205,6	1 145,0	5 060,6	100,0	100,0	100,0
სხვა შემოსავლები	1 617,0	1 617,0	-	1 144,3	1 144,3	-	1 173,7	1 173,7	-	102,6	102,6	0,0

4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური			2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა			2023 წლის იანვარ-სექტემბერი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	26 310,0	17 954,0	8 356,0	18 907,9	13 847,3	5 060,6	19 063,3	14 002,7	5 060,6	100,8	101,1	100,0

საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,0	0,0	0,0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	12 642,0	12 642,0	9 624,9	9 624,9	-	9 470,3	9 470,3	-	98,4	98,4	0,0	
ქონების გადასახადი	2 300,0	2 300,0	1 933,1	1 933,1	-	2 213,7	2 213,7	-	114,5	114,5	0,0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 880,0	1 880,0	1 880,0	1 880,0	-	2 090,6	2 090,6	-	111,2	111,2	0,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	-	-	70,0	70,0	-	0,0	0,0	0,0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	20,0	20,0	2,6	2,6	-	2,6	2,6	-	100,0	100,0	0,0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	70,0	70,0	21,8	21,8	-	21,8	21,8	-	100,0	100,0	0,0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	330,0	330,0	28,7	28,7	-	28,7	28,7	-	100,0	100,0	0,0	

5. ბიუჯეტის გრანტები

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური	2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა	2023 წლის იანვარ-სექტემბერი	შესრულების პროცენტი
გრანტები	9 751,0	6 205,6	6 205,6	400,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები				
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9 751,0	6 205,6	6 205,6	400,0
ფინანსური დახმარება	900,0	650,0	650,0	100,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1 835,7	1 297,4	1 297,4	100,0
კაპიტალური ტრანსფერი	5 690,3	3 129,5	3 129,5	100,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	4 799,3	2 649,6	2 649,6	100,0
სკოლების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	201,0	179,9	179,9	100,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	690,0	300,0	300,0	100,0
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	1 325,0	1 128,7	1 128,7	100,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	830,0	633,7	633,7	100,0
სხვა კაპიტალური ტრანსფერი	495,0	495,0	495,0	100,0

6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური	2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა	2023 წლის იანვარ-სექტემბერი	შესრულების პროცენტი
სხვა შემოსავლები	1 617,0	1 144,3	1 173,7	100,0



რენტა	388,0	380,9	410,1	107,7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	280,0	107,4	107,6	100,2
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	265,0	97,9	98,1	100,2
სანებართვო მოსაკრებელი	35,0	22,2	22,2	100,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			0,2	#DIV/0!
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	230,0	75,7	75,7	100,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	15,0	9,5	9,5	100,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	769,0	567,9	567,9	100,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	30,0	12,4	12,4	100,0

7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

დასახელება	2023 წლის გეგმა		2023 წლის იანვარ-სექტემბერი				2023 წლის იანვარ-სექტემბერი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	
												საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	19 659,5	16 744,6	15 777,1	13 725,3	2 051,8	15 036,1	13 045,9	1 990,2	95,3	95,1	97,0	
შრომის ანაზღაურება	3 188,7	3 008,7	2 556,2	2 411,2	145,0	2 420,9	2 280,4	140,5	94,7	94,6	96,9	
საქონელი და მომსახურება	3 427,7	1 897,0	2 470,8	1 343,8	1 127,0	2 344,1	1 265,4	1 078,7	94,9	94,2	95,7	
პროცენტები	32,0	32,0	-	12,0	12,0	-	11,8	11,8	-	98,3	98,3	
სუბსიდიები	9 815,6	9 655,6	8 047,0	7 922,0	125,0	7 657,7	7 541,4	116,3	95,2	95,2	93,0	
გრანტი	30,0	30,0	-	24,1	24,1	-	21,1	21,1	-	87,6	87,6	
სოციალური უზრუნველყოფა	1 010,0	990,0	20,0	976,7	965,1	11,6	937,1	925,6	11,5	95,9	95,9	99,1
სხვა ხარჯები	2 155,5	1 131,3	1 024,2	1 047,1	643,2	1 643,4	1 000,2	643,2	97,2	95,5		

8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 6564.2 ათასი ლარით. მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 6820.4 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 256.2 ათასი ლარით;

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2023 წლის გეგმა წლიური	2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა	2023 წლის იანვარ-სექტემბერი	შესრულების პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	220,0	204,6	204,6	100,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	220,0	204,6	204,6	100,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 764,6	5 216,7	5 038,7	96,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 624,5	2 370,4	2 269,7	95,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 597,8	666,2	666,2	100,0
02 03	გარე განათება	20,0	20,0	20,0	100,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 489,6	1 690,5	1 660,4	98,2
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	680,0	236,0	235,0	99,6
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა				

03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა				
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	107,0	80,1	80,1	100,0
04 00	განათლება				-
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 465,4	1 465,4	1 448,4	98,8
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	268,0	268,0	251,0	93,7
04 03	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1 197,4	1 197,4	1 197,4	100,0
04 04	სკოლისგარეშე განათლება	-	-	-	#DIV/0!
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი				#DIV/0!
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	49,4	49,4	48,6	98,4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	49,4	49,4	48,6	98,4
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა				#DIV/0!
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	-	-	-	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	10 606,4	7 016,2	6 820,4	97,2

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური	2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა	2023 წლის იანვარ-სექტემბერი	შესრულების პროცენტი
არაფინანსური აქტივების კლება	300,0	201,5	256,2	127,1
ძირითადი აქტივები	100,0	100,0	154,7	154,7
არაწარმოებული აქტივები	200,0	101,5	101,5	100,0
მიწა	200,0	101,5	101,5	100,0

9. შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციით შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური	2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა	2023 წლის იანვარ-სექტემბერი	შესრულების პროცენტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 668,0	3 577,3	3 364,1	94,0
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 578,0	3 535,3	3 323,3	94,0
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 487,0	3 535,3	3 323,3	94,0
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	91,0	-	-	#DIV/0!
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	90,0	42,0	40,8	97,1
7.2	თავდაცვა	185,0	146,2	141,6	96,9
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	185,0	146,2	141,6	96,9
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	4 035,5	2 781,4	2 680,2	96,4
7.4.5	ტრანსპორტი	4 035,5	2 781,4	2 680,2	96,4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 035,5	2 781,4	2 680,2	96,4
7.5	გარემოს დაცვა				



7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	6 802,3	4 080,8	3 994,5	97,9
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3 377,8	2 344,2	2 314,1	98,7
7.6 3	წყალმომარაგება	1 837,8	836,5	828,9	99,1
7.6 4	გარე განათება	450,0	337,0	335,6	99,6
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1 136,7	563,1	515,9	91,6
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	160,0	125,0	116,3	93,0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	160,0	125,0	116,3	93,0
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	-	-	-	#DIV/0!
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 223,0	1 723,5	1 665,6	96,6
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	780,0	615,2	590,5	96,0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1 245,0	973,4	944,3	97,0
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	68,0	53,0	48,9	92,3
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	130,0	81,9	81,9	100,0
7.9	განათლება	7 695,1	6 019,1	5 921,3	98,4
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	5 703,4	4 653,7	4 613,7	99,1
7.9 2	ზოგადი განათლება	1 991,7	1 365,4	1 307,6	95,8
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	1 991,7	1 365,4	1 307,6	95,8
7.10	სოციალური დაცვა	1 455,0	1 448,8	1 371,2	94,6
7.10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 455,0	1 448,8	1 371,2	94,6
	სულ	30 323,9	22 823,3	21 885,5	95,9

10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 4027.2 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო -2537.0 ათასი ლარით:

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური	2023 წლის იანვარ- სექტემბერი გეგმა	2023 წლის იანვარ- სექტემბერი
საოპერაციო სალდო	6 650,5	3 130,8	4 027,2
მთლიანი სალდო	- 3 655,9	- 3 683,9	- 2 537,0

/ათას ლარში/

11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -2566.0 ათასი ლარით:

დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური	2023 წლის იანვარ- სექტემბერი გეგმა	2023 წლის იანვარ-სექტემბერი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 3 713,9	- 3 713,9	- 2 566,0



ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	3 713,9	3 713,9	2 566,0
ვალუტა და დეპოზიტი	3 713,9	3 713,9	2 566,0

ფინანსური აქტივების კლება 1147.9 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს 2023 წლის პირველი ოქტომბრისათვის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება მიმდინარე წლის განმავლობაში. ადგილობრივი შემოსავლებია 507.3 ათასი ლარი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 640.6 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანება 98.0 ათას ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება - 170.9 ათას ლარს შეადგენს. ასევე, გრძელვადიანი ვალდებულება არის - 2.5 ათასი ლარი.

12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა - 40.8 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016 წელს მიღებული სესხის დაფარვას. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 203.0 ათას ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნება - 113.0 ათასი ლარი.

თავი II. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

13. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა: მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს, აგრეთვე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას.

პროგრამული კოდი	დასახელება	/ათას ლარში/											
		2023 წლის გეგმა წლიური	2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა			2023 წლის იანვარ-სექტემბერი			შესრულების პროცენტი				
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები			
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4 656,0	4 471,0	185,0	3723,5	3577,3	146,2	3 437,4	3505,7	141,6	94,2	94,0	96,9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 565,0	4 380,0	185,0	3680,5	3534,3	146,2	3463,99	3322,3	141,6	94,1	94,0	96,9
01 01 01	თერჯოლის მუნიციპალიტეტის	835,0	825,0	-	746,8	746,8		677,4	677,4				


	მუნიციპალიტეტის მერია													
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	185,0	-	185,0	146,2	-	146,2	141,6	-	141,6	96,9	#DIV/0!	96,9	
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	91,0	91,0	-	42,0	42,0	-	40,8	40,8	-	97,1	97,1	0,0	
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	-	-	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	0,0	
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,0	1,0	-	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	0,0	
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	90,0	90,0	-	42,0	42,0	-	40,8	40,8	-	97,1	97,1	0,0	
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	-	-	-	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	0,0	
01 02 05	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	-	-	-	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	0,0	

სამი კვარტლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 677.4 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2644.9 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) - 141.6 ათასი ლარი. 2. საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსებულია 117.2 ათასი ლარით: სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯმა 76.4 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა დაფინანსებულია 40.8 ათასი ლარით.

14. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტების დაფინანსება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 6674.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,3 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით.

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური		2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა			2023 წლის იანვარ-სექტემბერი			შესრულების პროცენტი			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები			
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10 837,8	2 741,6	8 096,2	6 862,2	1 870,0	4 992,2	6 674,7	1 813,5	4 861,2	97,3	97,0	97,4
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის	4 035,5	895,1	3 140,4	2 781,4	2 606,0	2 085,4	2 035,5	1 985,4	1 985,4	96,5	96,5	96,5



02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 837,8	416,6	1 421,2	836,5	172,3	664,2	828,9	164,7	664,2	99,1	95,6	100,0
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	450,0	450,0	-	337,0	337,0	-	335,6	335,6	-	99,6	99,6	0,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3 377,8	533,2	2 844,6	2 344,2	373,9	1 970,3	2 314,1	373,8	1 940,3	98,7	100,0	98,5
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	720,0	30,0	690,0	272,3	-	272,3	271,3	-	271,3	99,6	#DIV/0!	99,6
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	416,7	416,7	-	290,8	290,8	-	244,6	244,6	-	84,1	84,1	0,0

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.

1.1 გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა - შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 02 01)

საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას, არასასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც მიმდინარე პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით, გამოეყო 3140.4 ათასი ლარი. რომლითაც დაფინანსდება შემდეგი პროექტები: თერჯოლა-ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 472.1 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 472.1 ათასი ლარი. სოფ. თავასა-თუხის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 281.7 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 281.7 ათასი ლარი. ავტობანიდან ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამოყოფილია 260.7 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 260.7 ათასი ლარი. თერჯოლის რაიონ სოფელ კვახჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 266,0 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 266.0 ათასი ლარი. სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლის მშენებლობა / რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 264.6 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 264.6 ათასი ლარი. თერჯოლის რაიონი სოფ. ქვ. ალისუბანი ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 263.2 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 263.2 ათასი ლარი.



პერიოდში ათვისებულია 177.2 ათასი ლარი. ჭალასთავთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 200.0 ათასი ლარი. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 250.0 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 250.0 ათასი ლარი. სოფ. გოდოგანში ჭიჭინაძეების უბანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 250.0 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 100.0 ათასი ლარი. სოფ. გოდოგანში ხორხის უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის გამოყოფილია 104.9 ათასი ლარი.

შედეგი: მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის შეიქმნა უსაფრთხო გარემო. მგზავრთა გადაადგილების დრო შემცირდა.

1.2 წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

წყლის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემის როგორც სრულ, ისე-ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში, რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით, წყლის სისტემების მოწყობისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1421.2 ათასი ლარი, რომლითაც დაფინანსდება შემდეგი პროექტები: სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მშენებლობაზე გამოყოფილია 866.0 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 434.4 ათასი ლარი; სოფ. ჩხარის ცენტრალურ წყალსადენში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით სათავე რეზერვუარისა და მიმწოდებელი მაგისტრალის მოწყობის სამუშაოზე გამოყოფილია 555.3 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 231.8 ათასი ლარი.

შედეგი: წყლის სისტემის მშენებლობა, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად.

1.3 გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03)

მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება მოხმარდა გარე განათების ქსელის განვითარებას და ექსპლოატაციის საჭირო ხარჯებს.

შედეგი: გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

1.4 კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 04)

მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა საკურორტო მოწყობა საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.



მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნა აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს დაფინანსდება, ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძვერში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 1200.0 ათასი ლარით. მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 400.8 ათასი ლარი და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება - მოდერნიზაციის მიზნით, ქ. თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ღია ამფითეატრისა, მის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია 568.6 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 545.8 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 100.0 ათასი ლარი. რომლითაც დაფინანსდება ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 830.0 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 609.8 ათასი ლარი.

შედეგი: კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გაუმჯობესება.

1.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 05)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროექტები: სასმელი წყლის სისტემები, წყაროების მოპირკეთება, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოები. გზები, გზისპირა მოსაცდელეები, ცხაურები, ხიდები, ხიდბოგირები, გადასასვლელეები, გარე განათება, სკოლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი, ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი, სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით, წისქვილის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის განკარგულებით გამოყოფილია 690.0 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 271.3 ათასი ლარი.

შედეგი: რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა სოფლად.

1.6 საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)

სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.



საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა, მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

შედეგი: შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

მუხლი 15. დასუფთავება და გარემოს დაცვა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 01)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 2630.7 ათასი ლარით. გეგმა შესრულებულია 90,1 პროცენტით.

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური		2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა			2023 წლის იანვარ-სექტემბერი			/ათას ლარში/ შესრულების პროცენტი			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3 100,0	3 100,0	-	2 921,2	2 921,2	-	2 630,7	2 630,7	-	90,1	90,1	0,0
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	3 100,0	3 100,0	-	2 921,2	2 921,2	-	2 630,7	2 630,7	-	90,1	90,1	0,0

2.1 დასუფთავება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქუჩების, მოედნების, სკვერების, შენობების, საზოგადოებრივი ადგილების დაცვა- დასუფთავება, საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუნებელყოფა -განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების, პარკების მოვლა- პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება. სანიაღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის, შეკეთების და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა, საუბნო გზების მოწყობა ინერტული მასალით, ბოგირების, ცხაურების მოწყობა, მოვლა- პატრონობა. წყლის მომარაგების /ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მოწესრიგებული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული, დასუფთავებული ტერიტორია, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება, გარე განათების გამართული ქსელი.

მუხლი 16. განათლება

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 5921.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,4 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებებით.

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა წლიური		2023 წლის იანვარ-სექტემბერი გეგმა			2023 წლის იანვარ-სექტემბერი			/ათას ლარში/ შესრულების პროცენტი			
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის		



		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	
04 00	განათლება	7 695,1	4 961,8	2 733,3	6 019,1	3 846,8	2 172,3	5 921,3	3 797,3	2 124,0	98,4	98,7	97,8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4 506,0	4 506,0	-	3 456,3	3 456,3	-	3 416,3	3 416,3	-	98,8	98,8	0,0
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	141,0	141,0	-	106,3	106,3	-	102,3	102,3	-	96,2	96,2	0,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	4 365,0	4 365,0	-	3 350,0	3 350,0	-	3 314,0	3 314,0	-	98,9	98,9	0,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 197,4	140,8	1 056,6	1 197,4	140,8	1 056,6	1 197,4	140,8	1 056,6	100,0	100,0	100,0
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1 676,7	-	1 676,7	1 115,7	-	1 115,7	1 067,4	-	1 067,4	95,7	0,0	95,7
04 04	სკოლისგარეშე განათლება	315,0	315,0	-	249,7	249,7	-	240,2	240,2	-	96,2	96,2	0,0

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.

3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01 01)

ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურმა ცენტრ“-მა უზრუნველყო სააღმზრდელო დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება.

3.2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 26 საბავშვო ბაღში წლის განმავლობაში სწავლობდა 950 ბავშვი. აქედან, გოგო - 455 და ბიჭი - 495.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების და სწავლების მეთოდების შესწავლა. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) მოწყობა. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

შედეგი: სკოლამდელი აღზრდის ბავშვების სკოლისათვის მზაობა.

3.3 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში ახალი ბაღის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის



შედეგი: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

3.4. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 04 03)

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში შეუფერხებლად ხორციელდებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერიასა და საგანმანათლებლო და სამეცნირო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულებს შესაბამისად, გაწეულია 1027.4 ათასი ლარის სატრანსპორტო ხარჯი და ინფრასტრუქტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსებულია 40.0 ათასი ლარით.

3.5 სკოლისგარეშე განათლება (პროგრამული კოდი 04 04)

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი არის, არაფორმალური სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება 6-21 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდობას. 2022-2023 სასწავლო წელს „ცენტრში“ მუშაობს 4 ქვეპროგრამა, რომელშიც გაერთიანებულია 24 კლუბი და 1 წრე. მოსწავლეთა რაოდენობაა -553. აქედან, გოგო 183 და 279 ბიჭი. სასაწავლო-შემოქმედებით მუშაობაში ჩართულობა გაიზარდა, მოსწავლეთა აქტიური წარმატებული მუშაობა შესაბამისად აისახა სტატისტიკაშიც.

შედეგი: საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა.

მუხლი 17. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 1165.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,6 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით.

